№ 280

სამშაბათი,

26 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2804

სამშაბათი,

26 აპრილი

გამოცემის ფასი: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩა, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა

1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით**—5 კაპ.

დედა დესპინე დავითის ასული და მამა ალექსი ნიკოლოზის ძე ფარსადანოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ძვირფასის შვილის

სერიოჟას

გარდაცვალებას და სთხოვენ მობრძანდნენ გამოსვენებაზე სამშაბათს, 26 აპრილს დილის 10 საათზე, საკ. სახლი, მიხაილოვის ქ. № 225, საიდანაც წაასვენებენ დიდუბის ეკლესიაში. პანაშვიდი მუდამ დღე საღამოს 7 საათზე. (2—194—2)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი

მოსდის ყოველ-კვირა

ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.

ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად. (0—10)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 30 აპრილს მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ორი ქვითკირის აკვედუკის აგება. ეს აკვედუკები საჭიროა წყლის მილის გასადებად ხევ-ძმარას ღელეზე ავჭალაში და რკინის გზის დეპოსთან ნაძალადევში. პროექტების და პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, მუშაობის დროს, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე წყლის მილის განყოფილებაში. ფასები, პირობათა თანახმად, უნდა ბლანკებზე იყოს წარდგენილი (ბლანკები იქვეა) დაბეჭდილ კონვერტში 30 აპრილის ნაშუადღევის 2 საათამდე. (2—6.—2)

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ხსენებულ ბანკის წესდების მე-89-§-ის თანახმად, ბანკის რწმუნებულთა **წლიური საზოგადო მორიგი კრება** დანიშნულია ქუთაისში 28 მაისისათვის 1905 წ. 11 საათზე, ბანკის დარბაზში. კრება წესდების ძალით (შენიშვნა მე-89 მუხლისა) კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

რწმუნებულთა კრების განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა წარსულ 1904 წლისა;
2. განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ-აღრიცხვისა მდგომარე 1905 წლისა;
3. განაწილება თანხისა საზოგადო საჭიროებისათვის;
4. შეცვლა და დამატება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლებისა;
5. არჩევა ზედამხედველ კომიტეტის და ბანკის გამგეობის თითო წევრისა.

თანაშემწე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომრისა **მ. ფალავა.** (3—6.—1)

კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ 27 აპრილს, საღამოს 8 საათისთვის დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში მდივნისა, ხაზინადრის და წიგნთსაცავის გამგისა;
2. ნ. დ. ხატისოვი: „Современныя условія вступленія въ бракъ съ врачебной точки зрѣнія“.

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც თანაუგრძნობს საზოგადოებას, მობრძანდნენ კრებაზე. (2—უ.—1).

ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოდ, რომ, რადგან 27 მარტს არ შესდგა წევრთა საზოგადო კრება, **ახალი კრება** დაინიშნა ამა წლის 8 მაისისათვის, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში. (1—6.—1)

სტუდენტი ეძებს გაკვეთილს აქ, ან საგარაკოთ.

ადრესი: მამა დავითის მოედანი, სახლი ექიმი ქიქოძესი, სტუდენტ ა. ბ. (3—1)

რესტორანი

მთაწმინდის გორაზე ფუნიკულერის სადგურის შენობაში ზემო სართულში.

რესტორანი დაიწყებს თავის მოქმედებას 26 აპრილიდან, სრულ შესაფერ მნიშვნელობით. ბუფეტი მოწყობილია ყოველ გვარ სასმელებით როგორც ადგილობრივ, ისთე საზღვარ-გარეთის და აგრეთვე სამზარეულო ევროპიულ და აზიურ გემოზე.

სადილები იწყება ყოველ დღე 1-ს. 5-ს. 4 ბლუდი, განსაკუთრებულ, გამოცდილ მზარეულის შეზავებული და ყავა. 1 მ.

(1—1) პატივცემით. ნ. ჩიკვაიძე.

რესტორანი
(ფუნიკულერისა).

სადილები 26 აპრილიდან:

ბორჩი მალოროსიული
კალვონ—ფინანზერი
ზუთხი—შემწვარი
მაროჟნი—შეკოლადისა
. . . . ყავა.

პატრონი **ნ. ჩიკვაიძე.**

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
გ. ა. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბაღდარიშვილი.—ბავშვებისა. 9½—11½ ს.
ნ. ი. ჟულიხი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. დაყბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. მ. მაჩაბელი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
ნ. ა. ზღდემაშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი მ. ი. [illegible].—ქალისა და [illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ძ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ სათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

საღამოთ:

ს. ი. მაჭაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოში აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციება მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მარცხნივ სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ნ.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—19)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციულ ბანკის სახლი. (60—408—59)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

[illegible]: ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

23 აპრილი

ნიუ-იორკი. ბარონ კანეკომ ვაშინგტონში შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „იაპონელები არ დაეთანხმებიან ამერიკას, რომ მან ფილიპინის კუნძულები დასტოვოს. ომის გათავების შემდეგ, იაპონიასა და ამერიკას შორის დაარსდება კავშირი ეკონომიურ ნიადაგზე. ჩვენ უკვე შევუდექით იმის შემუშავებას, თუ როგორ უნდა მოეწყოს ჩვენი ურთიერთი დამოკიდებულება აზია ჩვენს ხელში იქნება, რაც განამტკიცებს ღია კარების პოლიტიკას ჩინეთში და თავიდან აგვაშორებს მის დაქუცმაცებას. იაპონელები სიამოვნებით იმიტომ ეგებებიან ამერიკის ფლოტს, რომ მისი ბაირაღი ინგლის-საქსონიის ცივილიზაციის წარმომადგენელია“. ამ სიტყვამ აღტაცებული ტაშის ცემა გამოიწვია.

24 აპრილი

ტოკიო, 23 აპრილი. ხმებია, რომ ვლადივოსტოკის ოთხმა ნაღმოსანმა 23 აპრილს იერიში მიიტანა იაპონიის იალქნიან გემზე ხოკაიდოსთან. ნაღმოსნებმა სროლა დაუწყეს გემს და, როცა მაზე ცეცხლის ალი დაინახეს, ჩრდილოეთისკენ წავიდნენო.

პარიზი, 23 აპრილი.—„მატენ“-ის აზრით, განზრახ ავრცელებენ ხმებს, რომ არ ვიცით, სად იმყოფება როჟესტვენსკიო; ამას იმიტომ სჩადიან, რომ გართულება მოხდეს. რუსის ადმირალი ისე გრძნობს თავის თავს საფრანგეთის წყლებში, როგორც თავის სახლში. ადმირალი ჟონკიერი მოაწესრიგებს ამ საქმეს, და „ფიგარო“ ელის, რომ დელკასეს გამოსცვლიან, რადგანაც ის ვერ შეეთანხმა რუვიეს. დელკასეს მოადგილეთ მადრიდელ ელჩს კამბონს ასახელებენ.

გუნჩჟულინი, 23 აპრილი. ხმა დადის, იაპონელებმა ჩვენის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ გამოილაშქრესო. ციანცზიატუნთან ვითომ შეტაკებაც მომხდარა.

ლონდონი. იტყობინებიან, საფრანგეთისა და ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრებმა მოლაპარაკება გამართეს საფრანგეთის კოლონიის, ინდო-ჩინეთის მომავალზედ. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში ეშინიანთ, ვაი თუ იაპონელები რუსეთთან ზავის ჩამოგდების შემდეგ ინდო-ჩინეთს დაეცნენო. დაწყებულმა მოლაპარაკებამ უნდა გამოარკვიოს, როგორ მოიქცევა ინგლისი, თუ საფრანგეთის შიში გამართლდაო.

ტოკიო. (ბერლინით). კუნძულ იესოსთან შენიშნეს რუსის სამხედრო გემი, რომელიც ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა.—იაპონელი იურისტები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ იაპონელებმა საფრანგეთის ყველა სავაჭრო გემი უნდა დაიჭირონ აზიის ზღვებში იმის სამაგიეროდ, რომ საფრანგეთმა რუსის ესკადრას ნება მისცა კოხინხინის ნაპირას დგომისა.

ტოკიო. რუსების მიერ ხოკაიდოსთან დამწვარ იალქნიან ხომალდს სახელად „იავატამარუ“ ერქვა, წყალწყვა 198 ტონა ჰქონდა. შიშობენ, ვაი თუ რუსის კრეისერები ვლადივოსტოკიდან გამოვიდნენ იმ განზრახვით, რომ იაპონიის ნაოსნობას ზარალი მისცენო.

პარიზი. აცხადებენ, დელკასემ და რუვიემ რუსეთისა და იაპონიის მორიგებაზე ლაპარაკი ჩამოაგდეს ინგლისის მეფესთან, მაგრამ მეფე ედუარდმა სთქვა, შერიგება შეუძლებელია, სანამ ესკადრების ბრძოლა არ მოხდებაო.

პარიზი. „პტი პარიზიენ“-მა გამოაქვეყნა ბუდაპეშტიდან მოსული დეპეშა, რომელიც ამბობს: ხმებია, იმპერატორი ფრანც იოსები გადადგება ტახტიდან, 19 წლის ერცჰერცოგ კარლოსის სასარგებლოდაო.

რიგა, 22 აპრილი. ჰერდერის მოედანზე, ლიუტერანთა იაკობის ტაძრის პასტორის სახლთან შეიკრიბნენ მართლ-მადიდებელი არა რუსნი და დემონსტრატიულად მოითხოვეს დაუყოვნებლივ შეგვაერთეთ ლიუტერანებთანო; პასტორმა დროებით უარი უთხრა მათ, რადგან საჭიროა წინდაწინ გამოცდა სარწმუნოებაშიო.

ოდესა, 22 აპრილი. მეპურეთა და მუშათა დეპუტატები ვერ თანხმდებიან. პური შემოაკლდა ქალაქს, რამაც ფასი აწია.

ბაქო, 22 აპრილი. გაიფიცნენ ხელზე მოსამსახურენი. გაფიცვა ბაქოსა და ბალაჯარის სადგურებზე მოხდა.

კოვნო, 23 აპრილი. გაიფიცნენ ორის სასპიჩკე ფაბრიკის მუშები.

24 აპრილი

ერივანი, 23 აპრილი. ხელზე მოსამსახურეების გაფიცვა დაიწყო.

კრემენჩუგი, 23 აპრილი. კრიუკოვის პოსადში მოხდა არეულობა ებრაელთა წინააღმდეგ, მაგრამ დროზე მოსპეს.

ბელოსტოკი, 23 აპრილი. დამზადებულ ტანისამოსთა მაღაზიებში და სამკერვალო სახელოსნოებში დაითხოვეს მუშები, რადგანაც ისინი შესაძლებლად ვერ სცნობენ აქნობიან სახელოსნოებში არსებულ პირობებში; აგრეთვე მოიქცნენ პურის საცხობების პატრონნი. გუშინ საღამოთი, ქუჩაზე, აუარებელ ხალხის თვალ-წინ, სამი უცნობი კაცი თავს დაეცა მზად ტანისამოსის მაღაზიის პატრონს ელინს და რევოლვერები ესროლეს ზედი-ზედ. ელინი გაიქცა. მსროლელები მიიმალნენ.

სევასტოპოლი, 23 აპრილი. ყირიმის ნაპირებსა და ოდესის შორის კაბოტაჟის წესიერი მიმოსვლა გემებისა. გემებზე ჯერ ისევ სამხედრო კომანდებია.

ბლაგოვეშჩენსკი, 23 აპრილი. ქალაქში სიმშვიდეა. შეჩერებულია დროებით ორივე ადგილობრივი გაზეთი.

პარიზი. 22 აპრილი. პოლიტიკური წრეები ამტკიცებენ, ინგლისი რუსეთის საწინააღმდეგოდ კი არ შეეცდის არაბეთს, არამედ იმიტომ, რომ გერმანია არ გაუშვას აზიაში.

ლოძი. ადგილობრივ გაზ. „გონეც ლოძკი“ იუწყება, ბოროტი ხალხი ცრუ ხმებს ავრცელებს, ვითომ პოლონელებსა და ურიებს ერთმანეთი სძულდეთ და ვითომ ურიები ჰბილწავდნენ პოლონელთა ეკკლესიებს. ეს ცრუ ხმებია. პოლონელებსა და ურიებს შორის კარგი ურთიერთობაა, ცრუ ხმების გამავრცელებელნი ვერას გახდებიან.

რომი. 22 აპრილს მომხდარ კონფერენციის დროს გადასწყვიტეს: რადგან მნიშვნელოვანი ამბები ხდება, კრიტის მფარველი სახელმწიფოები რამდენსამე სამხედრო გემს გაჰგზავნიან და კრიტზე ჯარს გაიყვანენო. დასასრულ, უკიდურესს შემთხვევაში, სახელმწიფოები პატრონიშვილს გიორგის უმთავრეს კომისარის უფლებას ჩამოართმევენო.

მოსკოვი. გენერალ-გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, სამ თვემდე დააპატიმრონ ხოლმე ის უსაქმო კაცები, რომელნიც ფულს სთხოულობენ.

პარიზი. გრუზინის წასვლას ცეტინიეში აზრად ის აქვს, რომ კავშირი დასდოს სერბიასთან და დაუთმოს ჩერნოგორიამ ათი ბატარეა და 30.000 თოფი.—იემენში საქმე გამწვავდა. ოსმალეთის ჯარის უფროსს მხოლოდ რამდენიმე ბატალიონი ჰყავს, მეამბოხეთ-კი 70,000 კაცი. მაშველი ჯარი იგზავნება ფრანგთა ტრანსპორტებით.

ეკატერინოდარი. ზოგიერთმა პატრონმა სამანუფაქტურო მაღაზიისა დღეს, პირველ კვირას, მოსპო ვაჭრობა. ამ მაღაზიების ნოქრებმა მოითხოვეს სხვა მაღაზიების დაკეტვაც. მაღაზიები დაიკეტა. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

მოსკოვი. თავად-აზნაურთა წინამძღოლების დღევანდელ კერძო კრებისთვის მოვიდა ორი წინამძღოლი. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი არჩევნების შესახებ ჰოფმეისტერის ბულიგინის კომისიაში.

პეტერბურგი. გაზეთ „კასპი“-ს რედაქტორ-გამომცემელს ტოპჩიბაშევს კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო გამოსცეს ბაქოში თათრულ ენაზე გაზეთი „ჰაიათი“ (ცხოვრება). გაზეთი „ჰაიათი“ გამოვა მაისის მეორე ნახევრიდან ყოველდღე სატახტო ქალაქის გაზეთების პროგრამით.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

23 აპრილი

ტოკიო, 23 აპრილი. გუშინ, ხოკაიდოს დასავლეთით, სუცსუს ახლო, რუსის ვლადივოსტოკელ ესკადრის 4 ნაღმოსანი გამოჩნდა; მათ დასწვეს იალქნიანი გემი, ტყვეთ წაიყვანეს მისი კაპიტანი და, როგორც სჩანს, ვლადივოსტოკისკენ გაბრუნდნენ.—შესაძლებელია, მათ სხვა პატარა გემებიც გაანადგურეს.

ტოკიო, 23 აპრილი. (რეიტ.). თუმცა ვლადივოსტოკის ესკადრის დიდი გემები არ დაუნახავთ, მაგრამ, ჰფიქრობენ, ასეთი გემები თან ახლავან იმ ნაღმოსნებს, რომელნიც ხოკაიდოს დასავლეთით გამოჩნდნენო. ძლიერი ღელვა იყო, როცა ნაღმოსნები იალქნიან გემს სწვავდნენ. ამ გემის მთელი კამანდა, კაპიტანის მეტი, ნაპირზე გადმოსხეს. რუსებმა ნავთი გადაასხეს იალქნოსნის ერდოს და შემდეგ ცეცხლი მისცეს. დღეს არ შეუმჩნევიათ ნაღმოსნები.

24 აპრილი

გოძიადანი, 24 აპრილი. ნაშუადღევის ორ საათის ნახევარი. მტერი წინ მიიწევს მთელ ფრონტზე. მარჯვენა ფრთაზე იაპონიის კავალერიამ და ქვეითა ჯარმა დაიჭირეს სანლიგაუ. ყაზახებმა ვერ გაუძლეს იაპონელთ ცხენოსნებსა და ხუნხუზებს და დანლიაოხეს მარცხენა ნაპირისაკენ დაიხიეს. მარცხენა ფრთაზე სროლაა ხუნხუზებთან, რომელთაც იაპონელები მეთაურობენ. 21 აპრილს ჩვენმა რაზმებმა დაიჭირეს აღმოსავლეთის ერდაგოუ, იქიდან უკან წავიდნენ ხუნხუზები, მივიდნენ იულუნცზისთან, სროლა ასტეხეს და წავიდნენ. ჩინელები დაბეჯითებით ამბობენ, იაპონელების დიდძალი რაზმი კორეის ნაპირებიდან გირინისაკენ ეშურებიანო.

ტოკიო, 24 აპრილი. იუწყებიან, ოიამას ორივე ფრთამ დიდძალი მანძილი გაიარა წინო.

სიტიაზი, 23 აპრილი. 21 აპრილს დასავლეთიდან ზარბაზნის ხმა ისმოდა. ჩენდუ-ლიცაიდაის გზაზე ჩვენი რაზმი შეეტაკა იაპონიის მზვერავ რაზმს. ხმები დადის, იაპონელებს, უკანასკნელ დროს, დიდძალი ჯარი გადაჰყავთ და საკვები და საომარი სურსათი გადააქვთ ხმელეთზეო. ჩინელები ამბობენ, იაპონიის ძლიერი კოლონა ჩრდილოეთით მიიწევს, ფინხუაჩენისა და საიმაძიდანო.

ტიანცზინი. სარწმუნო წყარო იუწყება, რომ იაპონელები შუა მაისს აპირობენ სახალინზე შეჭრას. სარდლებად იქნებიან გენ. ხურამუში და ტაკენუში, რომელნიც ამ ჟამად ხიროსიმაში არიანო.

ლონდონი, 23 აპრილი (რეიტერი). იაპონიის საელჩოს აცნობეს, იაპონიის მეხუთე შინაგანი სესხი 490 მილიონ იენამდე ავიდაო.

ჰონკონგი, 23 აპრილი. (რეიტერი) ორთქლ-მავალ გემ „ცინტაუ“-ს 20 აპრილს ვაშინგტონთან ბალტიის ესკადრის 21 გემი დაუნახავს, „სამ-მეფ“-ის კლდესთან კი 14 კრეისერი. მასვე შეუმჩნევია ვანფონგიდან გამოსული საფრანგეთის ჯავშნოსანი.

ტოკიო, 24 აპრილი. („რეიტერი“). ოფიციალურად იუწყებიან, ორშაბათს იაპონელები ტუნხუამდე მივიდნენ, რუსის ცხენოსანი რაზმი გაფანტეს და კოუიატაი დაიჭირეს, ტუნხუადან 20 მილზე. ხუთშაბათს, 21 აპრილს, იაპონელები ფაკუმინიდან ფინ-ჩუამდე ავიდნენ და ეშიატუნთანა და ტასიატუნთან, ფაკუმინიდან 30 მილზე ჩრდილოეთით, რუსები გაფანტეს. საღამოთი იაპონელებმა პაპასტუნზე მიიტანეს იერიში.

პეტერბურგი. „ბირჟ. ვედომ.“-ის სიტყვით, ბულიგინის კომისიის მოქმედება შეფერხდა, ვინაიდან პროფესორ ივანოვსკის მიერ შედგენილმა პროექტმა ხალხის წარმომადგენლების შესახებ. ვერ დააკმაყოფილა მთავრობა. პროექტის შედგენა მიანდეს მეორე პირს, რომელიც მცოდნეა სახელმწიფო საქმეებისა.

ყაზანი, 23 აპრილი. იერიდიულ საზოგადოების სხდომაზე პროფესორმა ივანოვსკიმ წაიკითხა რეფერატი ხალხის წარმომადგენლობის ორგანიზაციის დაწყობის შესახებ; ამ ორგანიზაციის საფუძვლად კლასობრივი ამორჩევა უნდა დაედოს.

მოსკოვი, 22 აპრილი. სახალხო განათლების მინისტრმა მიანდო მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რევიზია უყოს მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ საპედაგოგო საზოგადოებას.

ვიბორგი, 23 აპრილი. პოლიციის სადგომში 22 აპრილს მიიღეს ჰელსინგფორსიდან ამანათი, გახვეული საგზაო ტომარში; ეს ამანათი გამოგზავნილი იყო კომისარ გაროსის სახელზე, რომელიც იკვლევს მიასოედოვის მოკვლის განზრახვას. ამანათში აღმოჩნდა თეთრეული, ტანისამოსი და მუხის პატარა ყუთი გასაღებითურთ. როცა ყუთის სახურავი ახადეს, ყუთში შუილი ატყდა. აღმოჩნდა, რომ ყუთში ყოფილიყო ჯოჯოხეთის მანქანა და დინამიტი პატრონებში. აფეთქება არ მომხდარა, ალბად, იმიტომ, რომ ამაფეთქებელი ნივთიერება წამხდარიყო. ექსპერტების აზრით, აფეთქებას შეეძლო დაენგრია შენობა, სადაც პოლიცმეისტერი სირელიუსი, კომისარი გაროსი და რამდენიმე პოლიციელი იყვნენ. გამოძიება სწარმოებს.

პეტერბურგი, 24 აპრილი. გაზეთების სიტყვით, გაზეთ „ნოვოსტი“-ს რედაქტორი ნოტოვიჩი პასუხის გებაშია მიცემული ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს წინადადებით; ბრალმდებელი ბრალსა სდებს ნოტოვიჩს, ისეთი სტატიები დაბეჭდა თავის გაზეთში, რომელიც არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების დანგრევას ლამობენო.

კალიში, 24 აპრილი. მეორე დღეა, რაც სრული სიმშვიდეა. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა.

ცარიცინი. 19 აპრილს დაწყებული გაფიცვა თევზის ნავთ-სადგურის მუშებისა 22 აპრილს დასრულდა იმით, რომ თევზით ვაჭრებმა მუშებს სამუშაო ქირის 38 პროცენტი მოუმატეს.

კრემენჩუგი. სოფელ კრიუკოვში გლეხები უწესობის მოხდენას ეცადნენ. სოფ. ჟდანოვ-

კის გლეხები 21 აპრილს გრაფ. ბობრინსკების მამულს დაესხნენ, თივისა და ნამჯის ძირები დასწვეს. ჯარმა წესიერება აღადგინა.

ლოძი. ჭოფრისტერის სავაჭრო ქარხნის 400 მუშამ სამუშაო ქირის მომატება და სამუშაო დღის შემცირება მოითხოვა. ვარის მიღების შემდეგ, მუშები გუშინ სადამოთი ფაბრიკაში შევიდნენ და განაცხადეს, არ წავალთ აქედან, სანამ ჩვენს მოთხოვნილებას არ შეასრულებენო. მუშები დღესაც ფაბრიკაში არიან და დინჯად იქცევიან.

რეველი. 50 მკერვალმა გუბერნატორს თხოვნა მიართვეს თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ყაზანი. სავაჭრო სასწავლებელში 133 იუნკერს ნაადრევად მისცეს აფიცრის ხინი და მოპეტებულ ნაწილად კავკასიაში დაბინავებულ ჯარში ჩარიცხეს.

ჩიტა. 17 აპრილის ბრძანების მეთექვსმეტე მუხლმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ბურიატებზე. ბურიატების კრების პროგრამის უმთავრესი ნაწილი სარწმუნოების თავისუფლებასა და სამღვდელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას შეეხება. კრებაში რამდენიმე უნივერსიტეტში კურს-დამთავრებული ბურიატი იღებს მონაწილეობას: ორი პარტიაა: პირველი პარტია ძველის 1822 წლის წესდების აღდგენას თხოულობს, მეორე პარტია თხოულობს ფართო თვითმმართველობას, სრულს თანასწორობას რუსებთან და სასამართლოს სრულს დამოუკიდებლობას ადმინისტრაციისაგან. ორივე პარტია არ თანაუგრძნობს 1904 წლის რეფორმას. თათბირი სავსებით წესით სწარმოებს ნამდვილის თავმჯდომარეობით. კრება ხვალ გაიხსნება.

ვიშნი ვოლოჩიკი, 24 აპრილი. დამთ საპყრობილეში კანვოიმ სახალინიდან გამოქცეული ცნობილი ყაჩაღი მართაზოვი მოჰკლა, რადგან მართაზოვი გაქცევას სცდილობდა.

თეირანი, 24 აპრილი. შაჰი რუსეთს წავიდა. ბაქომდე მგზავრობას ერთ თვეს მოუნდება.

მოსკოვი. სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კრება მოეწყო.

პეტერბურგი, 24 აპრილი. ნევის სადარაჯოს იქით, სოფ. სმოლენსკში, სადამოს ექვსის ნახევარ საათზე, ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა თერთმეტი ხისა და სამი ქვის სახლი, მათ რიცხვში იაზვეფოვიჩის საშპალერო ფაბრიკა. ზარალი უმეტესად ღარიბებს მოუვიდათ.

ასტარა, 24 აპრილი. (სპარსეთი). არდებილის გუბერნატორი, სარდარ-მასულ-სულთანე, თეირანს გაიწვიეს, ჩვენს საზღვრის დარაჯებსა და სარდარისაგან გაგზავნილ სპარსელ სალდათებს შორის, ბელიასუფარის საზღვარზე მომხდარ შეტაკების გამო. შეტაკების მიზეზი იმაშია, რომ სარდარმა მოიხდომა თავის საზღვრების გაფართოვება. ხმებია, სპარსელ სალდათებთან შეტაკების დროს მოკლულ იქმნა ასი კაცი, ნარჩენები გაიქცნენ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება ხმელეთზე. სამხედრო კორესპონდენტები და მიმომხილველები დიდი ხანია ამბობენ, რამწამს გზები გაშრება და კაი ამინდი დადგება, მანჯურიაში დროებითი სიჩუმე დაირღვევა და სამხედრო მოქმედება ხელ-ახლად გაჩაღდებაო. ახალ დეპეშებიდან სჩანს, რომ ეს მოლოდინი მართლდება: იაპონიის არმიის ორსავ ფრთას წინ გაულაშქრნია. 18 აპრილს იაპონიის მარჯვენა ფრთას წინ წაუწევია და ტუნხუადან 20 მილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით კოუიატაი დაუჭერია. ტუნხუა, ანუ ტუნხუასიანი ხუანქენსიანის ჩრდილოეთით მდებარეობს, დაახლოვებით 50 ვერსტის სიშორეზე. 21 აპრილს იაპონიის მარცხენა ფრთასაც ფაკუმინიდან წინ გაულაშქრნია და 30 მილი გაუვლია. ორსავ ფრთას რუსის ცხენოსანი რაზმები დაჰხვედრიან, მაგრამ იაპონელებს გაუფანტავთ რუსები.

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ბ. ობოლეშევი იუწყება გუნჩჟულინიდან: გამოირკვა, რომ იაპონელები წინ გასალაშქრებლად ემზადებიან. პირველ რიგში სამი არმია უდგათ: მარცხენა ფრთაზე იმ ადგილიდან, სადაც მდ. დალიაოხე მდ. ლიაოხეს ერთვის, გენ. ნოგის არმია დგას, შემდეგ გენ. ნოძუს არმია და მდ. ხუნხეს ველზე გენ. კავამურას არმია. გენ. ოკუსა და გენ. კუროკის არმიები ტელინის სამხრეთით დგანან, იაპონიის ჯარი იმნაირადა დგას, რომ იმის წრის გარღვევა და გვერდიდან მოვლა შეუძლებელია. დალიაოხეს დასავლეთით მონგოლიის საზღვრამდე ხუნხუზების რაზმები დგანან. მდ. ლიაოხეზე, ფაკუმინის გზაზე, ხიდებია აშენებული. სოფ. ტუნცზია-კოუში სურსათის საწყობებს ჰმართავენ. ხელ-ახლად გავარდა ხმა, იაპონელების დიდი რაზმი მონგოლიაზე მიდის ჩრდილოეთისაკენაო. ამბობენ, ვითომ მოწინავე რაზმი გუნჩჟულინს დაუპირდაპირდაო. ამ ხმას შემოწმება სჭირია. ამბობენ აგრეთვე, რომ იაპონელების პატარა ცხენოსანი რაზმი სოფელ ჩჟენცზიატუნში დგასო. რკინის გზის დასავლეთითა და გუნჩჟულინის სამხრეთით მცხოვრებლები სიჩქაროდ იყრებიან და სხვაგან მიდიან. ის ამბები ხდება სწორედ, რაც ლიაოიანისა და მუკდენის ბრძოლის წინ ხდებოდა.

მარშალ ოიამას პლანი. სამხედრო მიმომხილველები წინადვე ცდილობენ მარშალ ოიამას პლანის გამოცნობას. ზოგი ჰფიქრობს, იაპონიის ჯარი ამას იქით უმთავრესად ვლადივოსტოკის აღებას ეცდებაო, ზოგი-კი ამტკიცებს, მარშალი ოიამა ერთსა და იმავე დროს გაილაშქრებს ხარბინისა და ვლადივოსტოკისაკენ და ორსავ ქალაქის აღებას ეცდებაო. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. ამ მეორე აზრს ადგია. მიმომხილველი სწერს:

ყველაფრიდან სჩანს, რომ მარშალი ოიამა ხარბინისაკენ გაილაშქრებს, რამწამს გზები გაშრება და კარგი ამინდი დადგება. დიდ მზადებაშია იაპონელი მთავარ-სარდალი. რუსეთის სააგენტო იუწყება, იაპონელებმა მე-6 და მე-7 არმია შეადგინესო. მე-6 არმიის უფროსად გენ. ხასეგავა (წინად გვარდიის დივიზიის უფროსად იყო კუროკის არმიაში, მერე კორეის კორპუსის უფროსად დაინიშნა) დანიშნეს და მე-7 არმიის უფროსად იქნება გენ. ნიში (მე-2 დივიზიის უფროსად იყო გენ. კუროკის არმიაში) დანიშნონო. მე-6 და მე-7 არმიაში სულ 160 ათას კაცამდე იქნება. როცა მე-6 და მე-7 არმია ომის ასპარეზზე მოვლენ, მარშალ ოიამას 610 ათასამდე კაცი ეყოლება და 2 ათასამდე ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი ექნება; თუ უკან გზებზე დაყენებულ ჯარსაც ვიანგარიშებთ, 700 ათასამდე კაციც ეყოლება. ეტყობა, მარშალი ოიამა დიდ საქმეებს აპირობს; მარტო გენ. ლინევიჩის არმიის წინააღმდეგ გალაშქრება რომ ჰსურდეს, წინანდელი ხუთი არმიაც ეყოფოდა, მე-6 და მე-7 არმიების შედგენა აღარ დასჭირდებოდა. ცხადია, იაპონელები ხარბინის გარდა, ვლადივოსტოკის აღებასაც შეუდგებიან, რომ ადმ. როჟესტვენსკის უკანასკნელი საზღვაო ბაზაც მოუსპონ. უნდა ვიფიქროთ, რომ გენ. ხასეგავას მე-6 არმია მალე დაიძრება ჩრდილოეთისაკენ, მდ. ტუმენში გავა და ვლადივოსტოკს ალყას შემოარტყამს. მარტის გასულს გენ. ხასეგავას მოწინავე ჯარი კილსუსთან იდგა, მდ. ტუმენიდან 200 ვერსტზე სამხრეთით. ვლადივოსტოკის რუსის რაზმის უფროსმა გენ. ანდრეევმა თავის მხრივაც 8 ათასი კაცი გაგზავნა მდ. ტუმენს გაღმა; აქედან სჩანს, რომ გენ. ანდრეევი მხნედ აპირობს მდ. ტუმენის დაცვასა და გენ. ხასეგავას გაჩერებას.

ასე რომ ახლა თან და თან ირკვევა იაპონიის მთავარ-შტაბის პლანი. გენერალ ხასეგავას არმია (100 ათასი კაცი) მდ. ტუმენში უნდა გავიდეს და ზაფხულის დამდეგს ვლადივოსტოკს ალყა შემოარტყას. ამავე დროს მარშალი ოიამა ექვსის არმიით (500 ათას კაცით) კუანჩენძისა და გირინს დაიჰერს, ამის შემდეგ ახალი მე-7 არმია აღმოსავლეთისაკენ გაემართება და გენერალ ხასეგავას არმიის გვერდზე დადგება. უნდა ვსთქვათ, რომ გენ. ლინევიჩის არმიას ამ ჟამად არ შეუძლიან მარშალ ოიამას დიდის ჯარის გაჩერება. 1 მაისისთვის რუსის მთავარ-სარდალს 370 ათას კაცზე მეტი არ ეყოლება სამსავე არმიაში. ვლადივოსტოკის მეციხოვნე ჯარშიაც ამ ჟამად დაახლოვებით 45 ათასი კაცი ითვლება, ისე რომ სომავალ სამხედრო მოქმედების დროს გენ. ლინევიჩს სულ 370 ათასი კაცი ეყოლება მარშალ ოიამას 510 ათას კაცის წინააღმდეგ და ვლადივოსტოკის მეციხოვნე ჯარიც ერთი ორად სუსტი იქნება გენ. ხასეგავას არმიაზე. ამიტომ გენ. ლინევიჩს მეტი ჩარა არა აქვს, დაურდგომლად ხარბინისკენ უნდა დაიხიოს. ხარბინთან ჩრდილოეთ მანჯურიის ბედიც გადასწყდება და რუსეთ იაპონიის ომის შედეგიც საბოლოოდ გამოირკვევა.

იქნება, მიმომხილველი ძლიერ აზვიადებდეს იაპონიის ჯარის რიცხვს. ეხლანდელმა ომმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჯარის რიცხვს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონია. იაპონელებმა ბევრჯელ რიცხვით ნაკლებ ჯარითაც გაიმარჯვეს.

საუბარი გენ. მეკელთან. „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტს იაპონიის ჯარის ინსტრუქტორად ნამყოფთან პრუსიელ გენ. მეკელთან უსაუბრნია ომსა და იაპონიის ჯარზე. გენერლის აზრი მით უფრო საინტერესოა, რომ დღემდე მიწერ-მოწერა აქვს თავის მოწაფეებთან— იაპონელ გენერლებთან. გენერალს, სხვათა შორის, უთქვამს:

რუსების გულადობასა და თავგანწირულებას თავისი ფასი აქვს, მაგრამ იაპონელებს ერთი დაუფასებელი უპირატესობა აქვთ: ისინი ფანატიკურის აღტაცებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მამაცობა საჭიროა, მაგრამ მარტო მამაცობა როდი სწყვეტს საქმეს. სამხედრო საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნასაც. გერმანიასა და საფრანგეთშიაც მრავალ აფიცერს შეჰხვდებით, რომლებიც სამსახურის დროის სწავლაზე ხელს არ იღებენ, იაპონელი აფიცრები-კი ყველანი უკლებლივ თავისუფალ დროს სწავლას ანდომებენ, რაღაცნაირ სიხარბით ეწაფებიან ცოდნას.

— მოგახსენებენ, გენერალო,— შეუნიშნავს კორესპონდენტს,— იაპონელები მაიმუნივით ჰბაძავენ ევროპიელებს, საკუთარი აზრი არა აქვთო.

— მე სულ სხვა აზრისა ვარ. როცა იაპონიის მთავარ-შტაბის აფიცრებთან ვმეცადინეობდი, მეტად რთულ, მძიმე სრტატეგიულ ამოცანებს ვაძლევდი და იაპონელი აფიცრები დიდ გამჭრიახობას, ინიციატივას და ჭკუის ძალას იჩენდნენ ამ ამოცანების გადაწყვეტის დროს.

— სამხედრო კრიტიკოსები მაინც უსაყვედურებენ იაპონელებს, მეტად დიდი დრო და ბევრი კაცის სიცოცხლე შესწირეს პორტ-არტურის აღებასაო, სჯობდა ომის დაწყების უმალ რუსის არმიას სცემოდნენ და გაენადგურებინათო.

— გეთანხმებით, იაპონელები ძლიერ გაიტაცა პორტ-არტურმა, მაგრამ ამ გატაცებას სერიოზული მიზეზიც ჰქონდა: რუსის ფლოტი! რუსის ფლოტის განადგურება დიდი საქმე იყო...

— ამბობენ, გენერალო, რომ თქვენ წინადვე უწინასწარმეტყველეთ რუსებს ლიაოიანთანა და მუკდენთან დამარცხებაო.

— აკი გამართლდა კიდევაც ჩემი მოსაზრება.

— რა აზრისა ხართ მომავალ სამხედრო მოქმედებაზე?

გენერალს უპასუხნია: ომი იაპონიის გამარჯვებით დასრულდება. იაპონიას ფულიც აქვს, ჯარიცა ჰყავს და რუსეთის ახალ დიდ არმიას არ შეუშინდება, იაპონელები ხარბინსა და ვლადივოსტოკს აიღებენ და შემდეგ პირობას წარუდგენენ რუსეთს:

პორტ-არტური და ლიაოდუნის ნახევარკუნძული, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ნაწილი და კუნძული სახალინი იაპონიას დაეთმოს; მანჯურია ჩინეთს დაუბრუნდეს, კორეიაზე პროტექტორატის უფლება მიეცეს იაპონიას, რუსეთმა კონტრიბუცია გადაიხადოს. ჩემის აზრით, ეს სულაც არ იქნება უზომო პირობაო—უთქვამს გენერალს.

საქართველოსთვის ქართული სკოლა

თანამედროვე სკოლა ცხოვრებამ სამუდამოდ დაჰგმო, რადგან ის პრინციპები, რომლებზედაც იგი იყო აგებული, უვარგისი გამოდგა. ნაყოფი, რომელიც მან მოიტანა, გამოდგა პირდაპირი წინააღმდეგი მის დამფუძნებელთა მისწრაფებისა. არც საკვირველია, რომ ასე მოხდა.

სკოლა ხელოვანის სამუშაო ოთახია, სადაც ადამიანის სულმა უნდა მიიღოს თავის შესაფერი ფორმა და შინაარსი. თუ ეს მართალია, მაშინ ცხადზედ უცხადესია, რომ სკოლა სრულიად თავისუფალი უნდა იყოს. თავის არსებით სკოლას არ შეუძლიან ემსახუროს სხვა მიზანს, გარდა ერთისა—განასპეტაკოს და განავითაროს ადამიანის სული. ეს ერთად-ერთი მიზანი განსაზღვრავს სკოლის გარეგან სახეს და მისს შინაარსს. სული ადამიანისა თავისუფალია და მით მოითხოვს იმისთანა დაწესებულებას, სადაც შესაძლებელია თავისუფალი განვითარება. მთავრობის სკოლა აგებულია სხვა პრინციპზედ. თანამედროვე სკოლას სახეში აქვს პირველად ყოვლისა არა ადამიანის სული, არა მისი შესაფერი განვითარება, არამედ ინტერესები მმართველთა პატარა ჯგუფისა, რომელთაც სურთ დაიცვან status quo. თანამედროვე სკოლა სცდილობს არა ადამიანის სულის განვითარებას, არამედ მის გარდაქმნას მზგავსებად და სახედ ძალის ხელთა მპყრობელთა.

დიახ, თანამედროვე სკოლას სურს დაიმორჩილოს აზრი, გრძნობა და ნება ადამიანისა, მაგრამ ამაოდ. მარტო ბრმას შეუძლიან იფიქროს, რომ შესაძლებელია დამონავება თავისუფალ აზრისა, გრძნობისა და ნებისა. მართალია, ძალას შეუძლიან შეაფერხოს თავისუფალი გაფურჩქვნა ადამიანის აზრისა, გრძნობისა და ნებისა, შეუძლიან შთაბეროს მათ მომაკვდავი სული, მაგრამ არ ძალუძს ჩააქროს, აღმოფხვრას, რათა შთანერგოს სასურველი აზრი, გრძნობა და სურვილი.

მთავრობის სკოლა რამდენი ხანია ამ ბუნების საწინააღმდეგო საქმის დანერგვას სცდილობდა; ხმარობდა ყოველნაირ ხერხს, რომ უკეთესად ემყნო რუსეთის მცხოვრებისთვის საჭირო აზრები, გრძნობები და მისწრაფებანი. მაგრამ დაბრმავებული და დაყრუებული მებაღეები ვერა ჰხედავდნენ და ვერ ისმენდნენ, რომ ფარულად ხალხის გულში ძალა იკრიფებოდა. დღეს ამ ძალამ იჩინა თავი და სცადა ამოეგლიჯა ძირიანად შეუსაბამო ნამყენები. სკოლა, როგორც დანარჩენნი ორგანოები საზოგადო ცხოვრებისა, ხმა მაღლა ღაღადებს: „სრული თავისუფლება ადამიანის სულსაო“. ეს ღაღადი ისმის მთელ რუსეთის სივრცეზე, კიდით-კიდემდე, და მასში უფრო გარკვევით ისმის ხმა ქართველებისათვის დაფუძნებულ სკოლისა.

სკოლა ქართველებისათვის, დაფუძნებული მთავრობის მიერ, უფრო უკიდურესს მდგომარეობაშია, ვიდრე სკოლა რუსეთის შუა-გულ გუბერნიებისა. სკოლა ქართველებისათვის ორ კურდღელს გამოჰკიდებია: მოსწავლეთა სულის გარდაქმნას და ქართველების განადგურებას, როგორც ერისა. ჩვეულებრივ ხერხებს, რომელთაც ხმარობენ რუსეთის სკოლებში ადამიანის სულის გარდაქმნისათვის, მიემატა განსაკუთრებულიც: აზრადა აქვთ გარდაქმნან ქართული რუსულად. დაბალ სასწავლებლებში შემოიღეს ბარბაროსული მეთოდი, ევრედ წოდებული ბუნებრივი მეთოდი, რომელსაც იმდენად აქვს კავშირი ბუნებასთან, რამდენადაც მათი მხმარებელთ ნამდვილ პედაგოგებთან. გაუგებარი ენა გლეხის ბავშვებისათვის გახდა სატანჯველ იარაღად და შეაძულა მოსწავლეებს სწავლა. საშუალო სკოლებიდან განდევნილია ქართული ენა, ქართული ისტორია და ლიტერატურა. თვალის ასახვევად დაბალ კლასებში ორიოდე გაკვეთილია ქართულ ენისა, ისიც მეექვსე საათზე და ისეთ მასწავლებლების ხელში, რომელთაც იქნება ჩინური უფრო უკეთესად იციან, ვიდრე ქართული.

ამისთანა პოლიტიკამ ნაყოფი გამოიღო: ქართველმა ქართული ენა დაივიწყა, მაგრამ გულითა და სულით ქართველი დარჩა, და დღეს, როცა თავისუფლების სიომ დაჰბერა, როცა ყველა გამოფხიზლდა საშინელ ზარდაცემისაგან, ქართველმა პასუხი გასცა ბრმა პოლიტიკოსებს: ხალხი ცეცხლს უკიდებს სკოლებს, შეურაცხყოფას აყენებს მათ ხელმძღვანელებს და თხოულობს ეროვნულ სკოლას. არა სამშობლო ენის უფლებას გამოესარჩლა იგი (სამშობლო ენა სკოლაში ხომ ელემენტარული მოთხოვნილებაა ნამდვილ პედაგოგიისა, რომელსაც განგებ არღვევენ ჩვენი მფარველები), არა, იგი გამოესარჩლა ხალხის უფლებას თავის სურვილისამებრ დააარსოს სკოლები და მოაწყოს იგი თავის ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით და არა მიხედვით სხვა მიწაწყლის ბარბაროსებისა, რომელნიც ფეხით სთელავენ ადამიანის ყოველსავე უფლებას.

ხალხი და სკოლა განუცალკევებელია. სკოლა არის ერთი დიდი მხარე ხალხის ცხოვრებისა, მისგან საზრდოობს და სიცოცხლობს. ქართველი ერი არ არის რუსის ერი; ქართველი ერის ცხოვრება განსხვავდება რუსის ერის ცხოვრებისაგან, და ამიტომ შეუძლებელია ერთი, საზოგადო სკოლა ორივე ერისთვის: საქართველოს სჭირია ქართული სკოლა და თხოულობს კიდეც ასეთ სკოლას.

ყვავი.

ს ო ფ ლ ა დ

სოფ. რუისი, (ქართლი). მკითხველებს უკვე მოეხსენება, რომ სოფ. რუისშიაც მოხდა მცხოვრებთა გაფიცვა. მამასახლისი და მსაჯულები გადააყენეს და ამოირჩიეს კეთილ-სინიდიანი კაცები, რომელთაც მიმართავენ ხოლმე გაჭირვების დროს. მართლაც და მას აქეთ, რაც „ერთობა“ ჩამოვარდა არამც თუ რუისში, ახლო-მახლო სოფლებშიაც კი, სადაც აგრეთვე ერთობაა, არავითარი ქურდობა და ავაზაკობა არ მომხდარა. როგორც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, მცხოვრებნი ძალიან კმაყოფილნი არიან და ხშირად გაიგონებთ ამა თუ იმ კაცისაგან: „რა კარგი ყოფილა ეს „ერთობა, ნეტავ ცოტა წინად მაინც მოსულიყო, სანამ ვანია და გაბო (მამასახლისად ნამყოფები არიან) გაგვყვლეფამდნენო“. ერთი ეს არის სამწუხარო, რომ ერთობამ ვერ იმოქმედა 80 წლის მოხუცებულ აჭურ მღვდელზე, რომელიც ოც წელიწადზე მეტია ამ სოფელში მღვდლად არის. 21 აპრილს შეიკრიბა რამდენიმე რუისელი და სთხოვა მღვდელს პანაშვიდის გადახდა სოფელ ტირძნისში აღდგომა დღეს დახოცილ გლეხთა სულის მოსახსენებლად. მღვდელი ცივ უარზედ დადგა. ამის შემდეგ უკმაყოფილოდ დარჩენილი ხალხი მივიდა ამავე სოფლის სომხის მღვდელთან და სთხოვა პანაშვიდის გადახდა. ამ უკანასკნელმა დაუყონებლივ შეასრულა, რაზედაც ხალხი დიდი მადლობელი დარჩა.

— **დეგოთელი**

ებელშენი (ქართლი). აბელ კალატოზიშვილის სახლში ერთ კვირაზედ მეტია იკრიბება ამ მხრის ზოგიერთი თავად-აზნაურობა ზურაბ აბდუშელიშვილის მეთაურობით და რაღაც სჯა-ბაასი აქვთ. ამის გამო ახლო-მახლო სოფლებში გავრცელდა ხმა, ვითომ თავად-აზნაურობა შეიარაღებას და გლეხკაცებზედ დაცემას აპირებდეს. შიში იქამდის მივიდა ხალხში, რომ ბევრგან აღდგომას ხალხი ლიტონიაზედ აღარ წავიდა: თავად-აზნაურობა „გომბების“ გამოყრასა და და ხალხის გაჟლეტას აპირობსო. კარგი იქნება, თავად-აზნაურობამ გაზეთის საშუალებით შეატყობინოს ხალხს შეკრების საგანი და ამ რიგად ბოლო მოუღოს ხალხში ჭორებისა და შიშის გავრცელებას.

— **დეგოთელი**

ზემო იმერეთი. პირველ ხანს გლეხთა მოძრაობა ზემო იმერეთში დაწვა-აჩეხვით დაიწყო. დასწვეს ზოგან სოფლის სამმართველოები, სკოლები, მემამულეთა წისქვილები და სასიმინდე-საბძლები. მაგრამ მალე მოძრაობამ მშვიდობიანი ხასიათი მიიღო. მოძრაობამ ბევრი მემამულე და თავად-აზნაური შეაშინა; ამათ ქალაქებს მიაშურეს და მთავრობას განუცხადეს: არაქა, გლეხებმა ავვიკლეს და გვიშველეთო, გასჭრა მათმა თხოვნამ და 13 მარტს ყვირილაში ქუთაისიდან ამოვიდა ასი ყაზახ-რუსი. მათ, მაზრის უფროსის თანახლებით, გაიარ-გამოიარეს სოფლებში და უკან, ყვირილაში დაბრუნდნენ. ვეჭრებს თავლები გააკეთებინეს ცხენებისთვის, საცხოვრებლად-კი საქალაქო სკოლის შენობაში დაბინავდნენ. პირველ ხანს საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ საღამოს რვა საათიდან ქუჩაში გასვლა შეუძლებელი გახდა...

მთელი მაზრის სამამასახლისოებმა მოსპეს კავშირი სოფლისა და ქალაქის ადმინისტრაციასთან. ირჩევენ თავიანთ შორის საიმედო პირებს ათისთავებად და ასისთავებად, რომელთაც აბარებენ საქმეებს. ისეთს სადაო საქმეებს, რომელსაც წინად 500—600 მანეთი უნდებოდა და სასამართლო ათ წელიწადს ანდომებდა, ახლა არჩეული პირები ორ-სამ დღეში სწყვეტენ უხარჯოდ. ამის გამო სასამართლოებში მომჩივანთა რიცხვი ძლიერ შემცირდა, რამაც დიდს საგონებელში ჩააგდო აქაური „აბლაკატები“: გულზე ხელ-დაკრეფილი და თავ ჩაღუნული დადიან ქუჩებში და ყველას შესჩივიან თავიანთ უბედურებას. ზოგიერთმა მიატოვა თავისი სამოქმედო ასპარეზი და მიაშურა სოფელს, მაგრამ ვაი, რომ აქაც უმუხთლა ბედმა და სიახლოვეს არ იკარებენ, თუმცა ყოველ წუთში ძმობა-ერთობაზე ეფიცებიან სოფლელებს.

გლეხთა გამოფხიზლებამ დიდს საგონებელში ჩააგდო აგრეთვე სოფლის მძარცველი ჩარჩები და მევახშენი. მათ აღვირწახსნილ მოქმედებას სოფლელთა საზარალოდ ბოლო ეღება და არ იციან, როგორ იმოქმედონ მომავალში. ყველა ესენი, გლეხების სისხლის მწოველნი—ჩარჩები, მევახშენი, აბლაკატები და სხვანი, გვერდში ამოსდგომიან მათ და რომ დაფარონ თავიანთი წინანდელი ცოდვები, მათთან ერთად გაიძახიან—„გაუმარჯოს ერთობასაო“! თუ რამდენად გულწრფელია მათი ფიცი, ეს ყველამ კარგად იუწყის.

სალი.

—

კახეთი. გლეხთა მოძრაობამ კახეთში ცოტა სხვანაირი მიმართულება მიიღო. მემამულეს მამული სრულებით ჩამოვართვათ და ცხრა მეათედი ერთმანეთში გავიყოთ, ხოლო ერთი მეათედი მამულისა (სახნავისა, ტყისა და ვენახისა) მემამულეს დავუბრუნოთო. ჯერ ამ მოთხოვნილების მითქმა-მოთქმას შეუვნებლობას აწერდნენ, მაგრამ თანდათან გამოირკვა და ახლა ამბობენ, რომ ეს აზრი გარედან არის შეტანილი ხალხშიო. აი დასამტკიცებელი საბუთი: კურდღელაურელებმა (ეს სოფელი თელავს ზედ აკრავს, ზოგან შიგნითაც არის შეჭრილი) ჯერ ისევ მარტის გასულს შეიმუშავეს თავისი მოთხოვნილება, რომელიც თითქმის სავსებით წააგავდა ს. ენისლის, გრემის, ალმატის და საბუის მცხოვრებთა მოთხოვნილებას (იხ. ცნო. ფურ. № 2787). მეორე დღეს შემუშავებული მოთხოვნილებანი უარჰყო ერთმა ნაწილმა, რომელსაც მეთაურობდა მამასახლისი (რომელმაც უკანასკნელ დროს უარჰყო მამასახლისობა). შემდეგ უმრავლესობა შეუერთდა ამ ერთ ნაწილს და იმისმა წარმომადგენლებმა, რომელთაც შეეკითხნენ კურდღელაურის მემამულენი, რას თხოულობთო, უპასუხეს: 1. რომელი მამულებიც გვჭერია ვენახებად გაშენებული და ჩამოგვართვეს თავადებმა, ახლა ისევ დაგვიბრუნდეს; 2. როგორც ჩვენ მამა-პაპას სჭერია სახნავი, ისევ ისე დაგვიბრუნდეს; 3. როგორც წინად ჰალაში საქონელი გვყოლია ბინით და კიდეც ოჯახისთვის და ვენახისთვის ტყით და ჰალით გვისარგებლნია, ახლაც ისევ ისე გვქონდეს სარგებლობა, ხოლო გაყიდვის ნება არა გვქონდეს; 4. რომელი მთაც გვქონია, მეველეც ჩვენი გვყოლია, ბევრი ფულიც დაგვიხარჯავს იმის დავაზედ, ამ მთაში სარგებლობის უფლება მოგვეცესო.

უთხრეს, რომ ბატონ-ყმობა გამიჯვნაზედ წინად გადავარდა. გამიჯვნის დროს-კი ბევრ მამულის გაცვლა-გამოცვლა მოხდა, ჩამორთმეული ვენახებიც გაცვლის და უფრო გაყიდვის გამო სხვების ხელშია, რომ რა მამულებიც შერჩენილი აქვთ თავადებს, სულ დაგირავებულია ბანკებში და ერთხელ სარგებლის შეუტანლობაც საკმარისია, მამული ბანკმა გაყიდოს. როგორ შეიძლება თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაო. წარმომადგენელთ უპასუხეს, ჩვენ ხომ არ აგვიღია ვალი, ვინც აიღო, იმან გასცეს პასუხი ბანკსაო. როცა უთხრეს, ვალი მამულს აწევს, მამულს ანდო ბანკმა და არა ამღებს, ამიტომ მამულს მოეთხოვებაო, იმათ ისევ ზევით ნათქვამი გაიმეორეს. უთხრეს, ის მთა, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ, სახელმწიფოს უჭირავს, იმან მოუგო თავადებს და აბა თავადებმა სახაზინო მთა როგორ მოგცეთო. ვისაც უნდა ეჭიროს, ჩვენ სარგებლობის უფლება მოგვცენ, სხვა ჩვენი საქმე არ არისო. როცა შეეკითხნენ დამსწრენი, ან მღვდელი არ გაწუხებთ, ან ბეგარა, ან გადასახადი ხომ არ გიჭირდე-

ბათო. თქვენ წინაშე ბევრ რამეზედ სჩიოდით, ახლა მარტო ერთს გაიძახით—მიწა და მიწაო, ნუ თუ სხვა არა გინდათ-რაო. ჩვენ მიწის მეტი არა გვინდა-რაო, უპასუხეს წარმომადგენლებმა.

მეორეთ შეყრის დროს ამ მოთხოვნილებისთვის სხვებიც მიემატებინათ, რომელთა შორის საყურადღებო ის არის, ცხრა ჩვენა და ერთი მემამულესაო. 3 აპრილს მთელი კურდღელაური შეიყარა, უმრავლესობამ ისევ ენისელთა მოთხოვნანი მიიღო. თავადებიც მიიწვიეს ყრილობაზედ და ხელის მოწერა სთხოვეს. თავადებმა ხელი მოაწერეს.

5 აპრილს ისევ შესცვალეს თავიანთი აზრი. მიუცვივდნენ ამორჩეულს, რომელსაც ებარა ქაღალდი და წაართვეს. ისევ იმას უბრუნდებიან—ცხრა ჩვენა და ერთი მემამულესაო, ე. ი. მამული უნდა ათად გავყოთ, ცხრა ნაწილი ჩვენ ავიღოთ და ერთი ნაწილი მემამულეს მივცეთო.

მე მაგალითად მოვიყვანე კურდღელაური და ამისი მგზავსი ზემო კახეთში სხვაც არის: მატანში, ახმეტაში, ქისტაურში და სხვა. ერთმა გლეხმა მითხრა, დღეს „ტელეგრამის გაზეთი“ წამიკითხეს, სადაც ეწერა, ხელმწიფემ გადასწყვიტა მამული სულ მთლად გლეხებს მიეცით, რაც შეიძლება ჩქარაო. როცა ეჭვი შევიტანე და ვუთხარი, მოუტყუებიხარ, მაგისთანა არა არის რა მეთქი, ფიცს მოჰყვა, ჩემი თვალით ვნახე ის გაზეთი და ჩემი ყურით გავიგონეო. ცხადია, წაუკითხნიათ „ცნ. ფ.“-ან № 2778 მოთავსებული ტელეგრამმა, რომელშიაც მოყვანილია რესკრიპტი 30 მარტისა გორემიკინის სახელზედ.

ცხადზედ უცხადესია, ვისთვისაც არის საჭირო გლეხთა მოძრაობის აქეთ დარუება. ამ საქმეში რომ ძლიერი ხელი არ ერიოს და საქმე არ იყოს მანქანასავით მოწყს-რიგებული, ყოვლად დაუჯერებელია. საქმე პირად სარგებლობაზედ არის აშენებული, ამასთან სარგებლობაც სადღეისოდ ნაჩვენები (ახლავე დაურიგეთ მიწები გლეხებსაო, უბრძანებია ხელმწიფესაო). შეიძლება გლეხთა მოძრაობა ასცდეს საჭიროებათაგან ნაჩვენებ გზას და არა სასურველად დარუვდეს.

ნადიკვრელი.

შილლერი

დღეს, 26 აპრილს (ახალის სტილით 9 მაისს) გერმანია დიდის ამბით დღესასწაულობს იოჰან-ფრიდრიხ შილლერის ხსენებას: დღეს სრულდება სწორედ 100 წელიწადი მის გარდაცვალებიდან. გერმანიას მთელი განათლებული ქვეყნიერება შეუერთებს თავის ხმას, რადგან გენიოსი პოეტი მთელ კაცობრიობას ეკუთვნის.

უდიდესი რომანტიკი და იდეალისტი შილლერი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-18 საუკუნეში და ამ სასტიკ დროს მედგარი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ ტირანიას, ძალმომრეობას, ადამიანის პიროვნების დაჩაგვრას. თავის ძლიერის ნიჭითა და გულწრფელის, ცოცხალის სიყვარულით ადამიანისადმი, შილლერი ადიდებდა თავისუფლებას და ქადაგებდა ძმობასა და ერთობას. იმის პოეზიის მისწრაფება იყო—მონა ადამიანად შეიქნესო, რადგან ღრმად სწამდა ადამიანის ბუნების სიკეთე და მშვენიერება; ადამიანი ცუდმა გარეგანმა პირობებმა გააფუჭესო და ამიტომ მედგრად უნდა შევებრძოლოთ ამ პირობებსო.

შილლერი იყო პოეტი, დრამატურგი და ფილოსოფოსი. ყველა თავის ნაწარმოებში ღრმა რწმენას აცხადებდა, რომ ადამიანის მშვენიერი ბუნება გაიმარჯვებს და დამყარდება ძმობა კაცთა და ხალხთა შორის, დამყარდება სამართლიანობა პოლიტიკურს და სოციალურს წესწყობილებაში. როგორც დრამატურგს, შილლერს მეორე ადგილი უჭირავს შექსპირის შემდეგ და იმის დრამატიულ ნაწარმოებთ დღემდისაც დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვთ. სწორედ იმის დრამებში—„ყაჩაღები“, „დონ-კარლოსი“, „ფიესკო“, „სიყვარული და ვერაგობა“—გამოიხატა დიდებულ მგოსნის მაღალი ბუნება და მაღალი აზრები. მგოსანს სწყუროდა, ადამიანი ბედნიერი უნდა იყოსო, ხოლო ამ ბედნიერებისთვის საჭიროა სრული თავისუფლება და თანასწორობაო. თავისუფლება და თანასწორობა ისეთივე ბუნებრივი მოთხოვნილებაა ადამიანისა, როგორც ჰაერი და წყალი; როგორც უჰაეროთ ვერ გასძლებს ადამიანი, ისე უთავისუფლებოდ ვერ გახდება იგი ვერასოდეს ბედნიერიო. ამიტომ მიეგება შილლერი აღტაცებით საფრანგეთის რევოლიუციას და ამიტომ ჰქადაგებდა ისე მხურვალედ ბრძოლას თავის „ყაჩაღებსა“ და „დონ-კარლოს“-ში. უკანასკნელ დრამის გმირი, მარკიზ პოზა, შილლერის აზრის გამომხატველია და ეს აზრი სავსებით შეეფერება დემოკრატიის დღევანდელ პოლიტიკურ იდეალებს: მხოლოდ თავისუფალ ხალხს შეუძლია დაამკვიდროს სამართლიანობა და ბედნიერი განწყობილება ადამიანთა და ხალხთა შორის.

ასე დიდებულია იმ გენიოს მგოსნისა და დრამატურგის ნაწარმოებთა შინაარსი, რომლის სახელს იხსენიებს დღეს მთელი განათლებული კაცობრიობა...

პოეტი დაიბადა 1759 წ. 10 ნოემბერს გერმანიის ერთ-ერთ სახელმწიფოში—ვიურტემბერგში. მამა მისი, კასპარ შილლერი, სამხედრო ფერშალი იყო, მაგრამ შემდეგში, ენერგიულის შრომითა და მოღვაწეობით, ოფიცრის დიდი ხარისხი დაიმსახურა. ამიტომ იმისი შვილიც ვიურტემბერგის სამხედრო აკადემიაში მიიღეს, სადაც ახალგაზდა შილლერი მედიცინის შესწავლას შეუდგა. ამ აკადემიაშივე თავი იჩინა მომავალ მგოსნის ნიჭმა, რომელზედაც დიდი გავლენა იქონიეს რუსსოსა და ახალგაზდა გეტეს ნაწარმოებმა. ჯერ კიდევ კურსი არ ჰქონდა დასრულებული შილლერს, როცა თავისი შესანიშნავი დრამა „ყაჩაღები“ დასწერა და თავის ამხანაგებს წაუკითხა. თავისუფლებისათვის მებრძოლ კარლ მოორის პიროვნებამ აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი და 1782 წელს პიესა დიდის ამბით იქმნა წარმოდგენილი ქალაქ მანნგეიმში. შილლერის დრამატიული ნიჭი ამ დროიდან საქვეყნოდ იქმნა აღიარებული და მგოსანმაც თავი დაანება ექიმობის კარიერას.

შილლერი.

ამ დღიდან დაწყებული თითქმის გარდაცვალებამდე შილლერს აღარ მოუსვენია. ერთის მხრით მას უნდა ებრძოლა მაშინდელ თვითმპყრობელ მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც არაფრად მიაჩნდა მისი მგოსნობა და აიძულებდა სამხედრო სამსახურში მოღვაწეობას; მეორეს მხრით დიდი დრო და ძალა უნდა მოენდომებია ლუკმა პურის მოპოებისათვის. ასეთ პირობებში შილლერი იძულებული გახდა ერთ ქალაქიდან მეორეში ევლო და ეძებნა შესაფერისი ნიადაგი; ხან რედაქტორობდა, ხან პროფესორობდა, ხან ექიმობდა კიდეც, მაგრამ ვერსად რიგიანად ვერ მოეწყო, თავისუფალი დრო ვერ ჩაიგდო ხელში, რათა სავსებით მისცემოდა თავის საყვარელ შრომას. მიუხედავად ასეთის დანჯღრეულის ცხოვრებისა, შილლერმა ბევრი ნაწარმოები დაგვიტოვა: ლექსები, დრამები, ფილოსოფიური წერილები (ზნეობასა, ეთიკასა, ესტეტიკაზე) და ისტორიული თხზულებებიც („ნიდერლანდიის ისტორია“, „ოცდაათის წლის ომი“ და სხვა). მხოლოდ 1799 წელს მოხერხდა და შილლერი მშვიდობიანად, ნივთიერად უზრუნველყოფილი დასახლდა ვეიმარში, თავის მეგობრის გეტეს და თავის ერთგულ პატივისმცემელთა მახლობლად; მაგრამ გვიან-ღა იყო: შილლერის ჯანმრთელობა უკვე შერყეული იყო და დიდებული პოეტი 5 წლის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა. სიკვდილამდე შილლერმა შეინახა თავისი ღრმა რწმენა ადამიანისადმი და დაუცხრომელი მისწრაფება თავისუფლება-თანასწორობის იდეალისაკენ.

ახალი ამბავი

◆ რომისა და სომხის ტიბიკონის **ქართველ კათოლიკეთა** საზოგადოებამ შეიმუშავა თავის საჭიროებათათვის პეტიცია, რომელიც უნდა გაეგზავნოს ხელმწიფე იმპერატორს, რუსეთის კათოლიკეთა მიტროპოლიტს, მინისტრთა კომიტეტს და კავკასიის ნამესტნიკს. უმთავრესი საგანი პეტიციასა შემდეგია: 1. შეწყნარებულ იქმნას მათი ქართველობა და აქიდან გამომდინარე ეროვნული უფლებანი; 2. აღდგენილ იქმნას ძველის წესისამებრ ქართველ კათოლიკეთა ეპარქია ტფილისში კათედრით და ქართველის ეპისკოპოსით, რომელსაც ირჩევენ სამრევლოთა წარმომადგენელნი და მათი მღვდლები და ამტკიცებს უმაღლესი კათოლიკეთ სასულიერო მთავრობა; 3 დაარსებულ იქმნას ტფილისში ქართველ კათოლიკეთა სემინარია, ხოლო სამრევლოებთან სასულიერო სკოლები; 4. დაარსებულ იქმნას ტფილისში კონსისტორია ქართველ კათოლიკეთა ეპარქიის საქმეთა მართვისათვის რვა წევრით, რომელთაგან ოთხი სასულიერო, ხოლო ოთხი ერის კაცია, ამორჩეული საეპარქიო კრებისაგან ოთხის წლით და დამტკიცებული ეპისკოპოსის მიერ; 5. მიეცეს ივერიის ორდენის კათოლიკე ძმებს ნება თავისუფლად და საჯაროდ აღასრულონ ყველგან სახელმწიფოში ღვთის მსახურება ქართულად და ივერიის ეკლესიის წესით და სხვა. რაც შეეხება სახელმწიფოს წეს-წყობილების სახისა და ხალხის წარმომადგენლობით უფლების გამორკვევას, ქართველ კათოლიკეთა პეტიცია უერთდება თვითმართველობის პრინციპს იმ ადრესებისას, რომელიც ქართველ თავად-აზნაურობამ შეიმუშავა.

◆ როგორც გვატყობინებენ, ადგილობრივ გაზეთების მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომც **ტფილისის ტრამვაის მოსამსახურეებს**, სხვათა შორის, მოეთხოვოთ დირექტორის გადაყენება და უსახელო საზოგადოების მთავარ სამმართველოს ბრიუსელიდან ტფილისში გადმოტანა, სიმართლეს მოკლებულია. ტრამვაის მოსამსახურეებს დირექტორის დათხოვნა კი არა, მოძრაობის უფროსის დათხოვნა თურმე მოუთხოვნიათ. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვაკვირვებს: აგერ ხუთი დღეა უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი ტფილისშია და ჯერ ჩამი-ჩუმიც არ ისმის ტრამვაის მოძრაობის დაწყებისა. ქალაქის გამგეობას დაუდგენია დაჯარიმდეს უსახელო საზოგადოება. ეს დადგენილება შეიძლება სამართლიანიც იყოს, მაგრამ ქალაქის ორასი ათას მცხოვრებმა რომ ხუთი და ათი ვერსი ფეხით იაროს, ეს კი სამართლიანი ვერ არის. ამოდენა ქალაქში ერთის კუთხიდან მეორე კუთხეში აქვს კაცს საქმე და უმეტესობას არ შეუძლიან ყოველთვის ეტლი დაიჭიროს. რასაკვირველია, ვისაც საკუთარი ეტლი ჰყავს, ამ ნაკლს ვერ შეამჩნევს, მაგრამ ბევრნი არ არიან ასეთნი.

◆ ქალაქსა და უსახელო საზოგადოებას შორის დადებულ ხელშეკრულების მე-45 მუხლის ძალით, თუ **ტრამვაის რომელსამე შტოზე** მოძრაობა შეჩერებულ იქმნა, საზოგადოებამ დღე-ღამეში ჯარიმად უნდა გადაიხადოს 200 მან. თუ ვინიცობაა ერთის თვის განმავლობაში მოძრაობა არ განახლდა, მაშინ ხელშეკრულება ირღვევა და მთელი ტრამვაი თავის მოწყობილებებით ქალაქს რჩება საკუთრებად.

◆ **ტრამვაის დირექციას** დაუდგენია, ვინც 28 აპრილისთვის მუშაობას არ განაახლებს, იმან ამ დღეს ანგარიში უნდა გაასწოროს საზოგადოებასთან.

◆ დღეს, 26 აპრილს, სამეურნეო საზოგადოება განიხილავს ბ-ნ ფირალოვის მოხსენებას—**საავრარო მოძრაობა კავკასიაში.**

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის** თითქმის ყველა სადგურებზე ამ ბოლო დროს იშინჯება გასაგზავნი და გამოსატანი საქონელი, რაც ძლიერ ხელს უშლის დიდრონ სადგურების ოპერაციას.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისელ მოქალაქეთა ერთ წრეს აზრადა აქვს მოიწვიოს მოქალაქეთა კრება და **მოილაპარაკოს საზოგადო საჭიროებებზე.** ზოგიერთს აზრადა აქვს წინადადება შეიტანონ, რომ გაუქმდეს სრულიად მოქალაქეთა გამგეობა, რადგანაც ამ დაწესებულებას ხარჯის მეტი საზოგადოებისათვის არაფერი სარგებლობა არ მოაქვს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ გამგეობას გადასცა მოხსენება თვით-მმართველობის **მოსამსახურეთათვის ბინების აგების** შესახებ. ყოველ წლობით უსახელო საზოგადოება ქალაქს აძლევს ტრამვაის 150 ბილეთს. ბილეთების ნაცვლად საზოგადოებას უნდა გამოერთვას წელიწადში 5000 მანეთი. ამას მიემატება საჩუქრების ფული, რომელზედაც მოსამსახურეებმა რამდენსამე წელს უარი უნდა სთქვან. ამრიგად უნდა შეგროვდეს სახლის ასაგები თანხა.

◆ შაბათს, 30 აპრილს, ტფილისის საბჭოს დარბაზში **მოხდება კრება** ტფილისის თვითმმართველობის დაწესებულებათა მოსამსახურე-მოხელეებისა. კრებას დაესწრებიან ქალაქის მუშებიც. კრებამ უნდა განიხილოს განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი მოხელე-მოსამსახურეთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ საშუალებათა შესახებ.

◆ განჯიდან გვატყობინებენ, რომ მთელს ამ მაზრას, აგრეთვე მის მიდამოებს **საშინლად თურმე მოსდებია კალია.** თუმცა სასტიკი ღონისძიებაა მიღებული კალიის ამოსაწყვეტად, მაგრამ იმდენად დიდი თურმე ახლად გამოჩეკილ კალიის რიცხვი, რომ არ შეიძლება ითქვას, რა ნაყოფს მოიტანს ეს დიდი მეცადინეობა.

◆ 25 აპრილს ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა **კრება მხატვრებისა** (მალიარებისა). კრებას დაესწრო 400-მდე კაცი. კრებას ლაპარაკი ჰქონდა სამუშაო დროს მოწესრიგებისა, იჯარადრობით საქმეების აღების გაუქმებისა, ბიუროს დაარსებისა, სახელოსნო გამგეობის და ამქრულ წყობილების გაუქმებისა, ხელფასის მომატებისა და სხვა ამ გვარ საკითხების შესახებ. კრებამ ამ საგნების შესახებ ივივე დაადგინა, რაც კალატოზებისა და დურგლების კრებამ. კრებას დაესწრო 20-მდე ისეთი კაცი, რომელთაც ძალიან ეუცხოვათ და ემწვავათ კრების დადგენილება ბიუროს დაარსებასა და საიჯარო სისტემის გაუქმების შესახებ. როგორც გამოირკვა, ესენი თითონ არ მუშაობენ, არამედ იჯარით იღებენ სამხატვრო საქმეებს და ამუშავებენ დაქირავებულებს.

◆ „რუს. სლოვო“-ში ვკითხულობთ: „უკანასკნელ ცნობებით, **ბაქოში ხმა დადის,** ვითომ სარევიზიოდ დანიშნული სენატორი კუზმინსკი მალე უარს განაცხადებს რევიზიის განგრძობაზეო.“

◆ ხვალ, 27 აპრილისთვის, დანიშნულია კავკასიის **სამკურნალო საზოგადოების წევრთა წლიური კრება.** კრება განიხილავს ანგარიშს და მოისმენს ექიმ ხატისოვის მოხსენებას. კრება მოხდება საღამოს 8 საათზე.

◆ როგორც ქნიდან გვატყობინებენ, 24 აპრილს დილით აქედან **დააბრუნეს ტფილის** მსროლელთა ბატალიონის სამასი სალდათი და შვიდი აფიცერი.

◆ **„მშაკ“ სწერს ძველ ჯულფიდან:** წელს არაქსი ძლიერ გადიდდა. ამ ხანებში ადიდებულმა მდინარემ რამდენიმე კაცი იმსხვერპლა. საქმე ასე მოხდა: ოცდათხუთმეტი თუ ორმოცი სული სპარსეთიდან გადმოვიდა რუსეთის საზღვარზე. შუა მდინარეს რომ მოატანეს, ბორანმა სიმძიმის გამო იწყო ჩაძირვა. ამ გულსაკლავ სურათზე ბევრი სპარსელი შეიკრიბა. შესაზარი სანახავი იყო, როდესაც მგზავრები იღუპებოდნენ წყალში. რამდენსამე წამს ისმოდა მათი ყვირილი და მუდარა. ცოტა ხანს ბორანი ჩაიძირა. თუმცა რამდენიმე სპარსელი შეცურდა წყალში გადასარჩენად, მაგრამ ვერც ერთი ვერ გადაარჩინეს.

◆ **სად. რიონი.** 23 აპრილს, ღამის 12½ საათზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 156 სადგურში შემოდიოდა, წინ დახვდა მეორე მატარებელი. პირველ მატარებელში დაიმტვრა სამი ვაგონი, მეორეში—ორთქლმავალი გადავარდა ლიანდაგიდან. მოკვდა კონდუქტორი დანილ ვორონჩენკო და დაშავდა სამი უბილეთო მგზავრი—მიხეილ კაჭარავა, ლაზარე კილოსანია და მიხეილ კვასალია. ესენი ძლიერ დაშავებულნი არიან და ყველანი ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ 5 მაისს ტფილისში მოხდება **საზოგადო კრება ფერშლებისა და ბებია ქალებისა** იმ წესდების პროექტის განსახილველად, რომელიც შეიმუშავა განსაკუთრებულმა კომისიამ ექიმთა თანაშემწეების ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების დასაარსებლად. კრება მოხდება ქალაქის მთავარ საავადმყოფოს სადგომში, მუხრანის ქუჩაზე, ოსიფოვის სახლში.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიურომ გუშინ საზღვარ-გარეთიდან მიიღო **ორი ვაგონი გოგირდი.**

◆ ს. ლილოში, ბეითლების თხოვნით, **გაიგზავნა სამოცი ყაზახ-რუსი.** სოფლელები არ დასთანხმებულან საქონლის აცრას.

◆ რედაქციამ მიიღო **საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადულის“** მეექვსე ნომერი (მოზრდილთათვის).

◆ ჩამოვიდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა საეპარქიო სასწავლებლის უფროსად ახლად დანიშნული ქ-ნი ნინო თავდგირიძე.

◆ ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ამიერ-ბაიკალის გზაზე დროებით ჰგზავნის სამ კონდუქტორს—ილია ბაბლიძეს, ივანე ვაზაგაშვილს და ნესტორ გოგიბაშვილს.

◆ როგორც ვწერდით, ტფილისის საბჭოს ყოფილმა ხმოსანმა განსვენებულმა ა. ი. თაიროვმა 2500 მან. უანდერძა ქალაქს. ამ ფულის სარგებლით ღარიბი გასათხოვარი ქალები უნდა გაეთხოვებინათ. გამგეობამ წესდება შეიმუშავა, რომელიც საგუბერნიო მთავრობამაც დაამტკიცა. გამგეობამ განსვენებულის ქვრივს მოაგონა ანდერძის შინაარსი და სთხოვა 2500 მან. გამოეგზავნა. ქ-ნმა თაიროვისამ გამგეობას შემოუთვალა, ბანკთან ჯერ ანგარიშები არ გამითავებია და არც ვიცი შეიძლება თუ არა რამე ამ ფულისა გადმოგცეთო.

◆ 24 აპრილს, დღით, პოლიციის მე-6 ნაწილში, ვაჭრის ზაქარია დ. პაპოვის მაღაზიის სარდაფში ჩაპარულა რამდენიმე ქურდი. როცა შეღამებულა, ქურდებს მაღაზიის იატაკი სარდაფიდან გამოუჭრიათ, ასულან მაღლა, გაუტეხიათ ყუთი და ამოუღიათ ფულად 500 მან., ქურდებს შემდეგ მოუხვეტიათ სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები და გაპარულან. ქურდებს მაღაზიაში დარჩენიათ ინგლისური ბურღი.

◆ **სად. შორაპანი.** 23 აპრილს, საღამოს 6 საათზედ, მე 144 ვერსზე, ლიანდაგის დარაჯს ილარიონ შარიკაძეს თავს დაეცა ორი ვიღაც კაცი და სიკვდილის პირამდის სცემა.

◆ მიხეილის ქუჩაზე მცხოვრებს გლეხ ლევჩენკოს სახლში მანგლისის მცხოვრებს ქალს ელენე სოლომინს უცაბედად კარბოლის მჟავე დაულევია და რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაცვლილა.

◆ 24 აპრილს, საღამოს 10 საათზედ, ამატუნის ქუჩაზედ, მედუქნე სერგო ნონიკაშვილს, მთვრალს, შევარდნია 17 წლის ყმაწვილი თევდორე მოროზოვი, დაუვლია ხელი დანისთვის და ნონიკაშვილი გვერდში მძიმედ დაუჭრია. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 25 აპრილი. ბულვარი სავსეა მასწავლებლებით, რომელნიც ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრებიდან ჩამოვიდნენ. უნდა მომხდარიყო მასწავლებელთა კრება, მაგრამ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება არ მისცა, თუ კრების მეცადინეობის პროგრამას არ წარმოადგენსო.

დაიწყო საურთიერთო კრედიტის წევრთა კრება კვირკველიას თავმჯდომარეობით. კრებამ დაამტკიცა წინა წლის ანგარიში და მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ცხარე კამათი გამოიწვია საკითხმა ძველ გამგეობის სამართალში მიცემის შესახებ. ამ საქმის გადაწყვეტა კრებამ პირველ მაისისთვის გადასდო.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის მაზრის უფროსს დაუგზავნია სოფლის მცხოვრებთათვის დარიგება, ნუ აჰყვებით სოფლად მაწანწალა ცრუმქადაგებელთ და მშვიდობიანად იმუშავეთ და ნურა ძალმომრეობას ნუ მიმართავთო.

◆ დ. ხონისაკენ კიდევ გაგზავნეს ერთი როტა ქვეითა ჯარი.

◆ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კრება, რომელიც დანიშნული იყო მარტის 27-სათვის და არ შესდგა, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო—დანიშნულია აპრილის 26-სათვის დილის ათ საათზე.

◆ მარტი წელს აპრილი იყო ჩვენკენ და აპრილი-კი მარტად შეიცვალა. ცუდი ამინდებია-ვენახებს ბევრგან ცუდად შეუფერადდა ფოთლები.

რუსეთის ქრონიკა

კერძო ინიციატივა სასკოლო საქმეში. სახალხო განათლების სამინისტროში, როგორც „რუს“-ი გადმოგვცემს, აზრად აქვთ დიდი თავისუფლება მიანიჭონ დაწესებულებათ და კერძო პირებსაც ახალი სკოლების გახსნის საქმეში. განზრახვა აქვთ, მოსპონ ყველა ზედ მეტი ფორმალური წესები, მინიმუმამდე მიიყვანონ ყოველგვარი რაპორტები და მოხსენებანი. შესაძლებელია, რომ ნებართვის აღების წესის მაგიერ განცხადების წესი („იავოჩნი პორიადოკ“) შემოიღონ. დაწესებულებას ან პირს, რომელიც სკოლის გახსნას იკისრებს, მისცემენ უფლებას საკუთარი წესდება და საკუთარი პროგრამა შემოიღოს. რასაკვირველია, ასეთი სკოლა უფლებას ვერ მიანიჭებს იქ კურს-დამთავრებულთ.

წერა-კითხვის სკოლები. „ნამდვილ სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ, რომ განზრახვა აქვთ შესცვალონ წერა-კითხვის ეხლანდელ სკოლების მდგომარეობა. წესდებით, მღვდელი არის პასუხის მგებელი, რომ წერა-კითხვის სკოლებში სწავლას მართლ-მადიდებელ-საეკლესიო მიმართულებისა ეჩნეს. ეს მითითება მიმართულებაზე აღარ უნდა იქმნეს და მღვდელიც განთავისუფლდება პასუხის გებისაგან. წესდებით, მღვდელს უნდა მოეკლოს კითილ-საიმედო მასწავლებელი და მზრუნველი. მომავალში ეს იქმნება მრევლის საქმე: მრევლი აირჩევს მასწავლებელს, სახელმძღვანელოებს და მზრუნველსაც. სკოლის დამფუძნებელს უფლება ექმნება ამა თუ იმ კანდიდატის დასახელებისა, მაგრამ ეს დასახელება არ იქმნება სავალდებულო მრევლისათვის. არქიელის დამტკიცება საჭიროდ აღარ იქმნება მზრუნველისათვის. („ნ. გ.“).

რუსულ ნაციონალურ-პროგრესიულ პარტიის პროგრამა. როგორც ვიცით, ეგრედ წოდებული ერობის პარტია ეხლა დანაწილდა: ზოგი მარცხნით მიიწია, ზოგი მარჯვნით. მემარჯვენეთა ერთ ჯგუფს მეთაურობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე შიპოვი. აი პროგრამა ამ ჯგუფისა:

1. ხალხის წარმომადგენლობა უნდა მოეწყოს, როგორც განცალკევებული არჩევითი დაწესებულება—სახელმწიფო საერო საბჭო.

2. სახელმწიფო საერო საბჭოს კომპეტენციას უნდა ეკუთვნოდეს—ა. განხილვა ყველა კანონპროექტისა; ბ. განხილვა სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვისა; გ. განხილვა ხარჯთ-აღრიცხვის ასრულებისა და უწყებათა მოქმედებისა. გარდა ამისა საბჭოს უნდა ჰქონდეს უფლება საკანონმდებლო ინიციატივისა.

3. საბჭოს უნდა ჰქონდეს უფლება მინისტრების შეკითხვისა; მაგრამ მინისტრები პასუხის მგებლები არიან ხელმწიფის წინაშე და არა წარმომადგენლობისა.

4. საბჭოს თავმჯდომარეს ამტკიცებს ხელმწიფე არჩეულ კანდიდატებთან, საბჭოს ყოველ აზრს თავმჯდომარე მოახსენებს ხელმწიფეს.

5. ხალხის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს დაფუძნებული საყოველთაო და პირდაპირ საარჩევნო უფლებაზე; ადგილობრივ თვით-მმართველობის დაწესებულებათა რეორგანიზაცია უნდა

მოხდეს და ესენი უნდა ირჩევდნენ წარმომადგენლებს. ამასთანვე ადგილობრივი თვით-მმართველობა უნდა გავრცელდეს რუსეთის იმპერიის ყველა ნაწილებში, რამდენადაც შესაძლებელია.

6. ადგილობრივ თვით-მმართველობაში წარმომადგენლობა არ უნდა იყოს დამყარებული წოდებრივ პრინციპზე: საერობო და საქალაქო თვით-მმართველობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ.

პოლონური ავტონომია. რუსეთის პოლონეთში ყველა პარტიები შეთანხმდნენ ერთ საგანში—პოლონელებს უთუოდ ეროვნული თვით მმართველობა, ე. ი. ავტონომია უნდა ჰქონდეს, რომ ბუნებრივი, ყოველ-მხრივი განვითარება ერისა შესაძლებელი იქნეს. ამ პოლონურ ავტონომიის თანახმა შეიქნა, როგორც ვიცით, სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კრება. კრების შემდეგ მოსკოვში ჰქონდათ თათბირი პოლონელების წარმომადგენლებს რუსის საზოგადოების წარმომადგენლებთან და აქაც მიღებულ იქნა პრინციპი ავტონომიისა. მოკლედ ეს პოლონური ავტონომია შემდეგის შინაარსისაა პოლიტიკურის მხრივ: რუსეთის იმპერიაში უნდა იქნეს ერთი ცენტრალური მთავრობა—სახელმწიფო წეს-წყობილების საერთო ფორმა, გარეშე საქმეთა ერთი სამინისტრო, საერთო საერთაშორისო ხელშეკრულებანი (პოლიტიკური და სავაჭრო), ერთი ჯარი და ფლოტი, საერთო სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა და ვალი; მაგრამ ამასთანავე ჩვენ, პოლონელები, ვითხოვთ, რომ „პოლონეთის სამეფო“ (ასე ეძახიან იმ გუბერნიებს, სადაც პოლონელები სცხოვრობენ) შეადგენდეს ავტონომიურ საკანონმდებლო და პოლიტიკურ ორგანიზაციას, საკუთარ კონსტიტუციაზე დამყარებულს; ვარშავაში უნდა იქნეს პოლონური დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, ფარულ, ყველასათვის თანასწორ და პირდაპირის კენჭის ერით.

წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, გულითად მადლობას ვუცხადებთ იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც როგორც ზუგდიდში, ისე ქუთაისში მომხდარ კრებებზე ურჩიეს თავად-აზნაურობას გლეხებთან შეერთება. სამაგიეროდ ჩვენ ზიზღსა და უკმაყოფილებას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც ჯარი და ძალ-მომრეობა მოითხოვეს.

რედაქციისაგან. ამ წერილზე ხელი უწერია ოთხმოცდა თვრამეტ კაცს. სამწუხაროდ, უადგილობის გამო ვერა ვბეჭდავთ ამათ გვარებს. ამას გარდა რედაქციამ მიიღო ასეთისავე შინაარსის წერილები: სად. მიხაილოვოდან, ხელი უწერია 24 კაცს; ბაქოდან, ხელი უწერია 39 კაცს; ბათუმიდან, ხელი უწერია 40 კაცს და სხვა.

გაზეთ „ტიფლ. ლისტოკ“-ის № 70-ში დაბეჭდილია „ივერიიდან“ და „ტელეფონიდან“ აღებული ცნობა, ვითომ ქუთაისში მეოთუაზახრუსებს მოეწადინოსთ ას მანათიანის წართმევა, დუქანში, ერთ უცნობ კაცისაგან და ვითომც ეს უცნობი ყოფილიყოს ქუთაისის გენ.-გუბერნატორი თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანი.

შეკრებილის ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ გაზეთებს ეს ცნობა „ტელეფონიდან“ გადმოუბეჭდიათ; ხოლო ამ გაზეთისთვის ეს ამბავი მის ქუთათურ კორესპონდენტს გამოუგზავნია.

ქ. ქუთაისში ბინადრობს 1-ლი ხოპერსკი პოლკი და, მაშასადამე, ხსენებული ცნობა ამ პოლკის უაზახ-რესებს ეხება. ამიტომ პოლკის უფროსმა სთხოვა კავკასიის საკავალერიო დივიზიის უფროსს, პასუხის-გებაში იქმნას მიცემული ხსენებულ კორესპონდენციის ავტორი, რადგან მის მიერ აწერილი ამბავი შეურაცხყოფს პოლკის ღირსებას და ამასთანვე ცილის-წამებაა: ასეთი ამბავი არ ყოფილა და მთელი კორესპონდენცია არა კეთილ-სინიდისიერი ჭორია იმ ჯარის ღირსების შესალახავად, რომელიც თავგანწირულად და სახელოვანად მსახურებს ამ ძნელს დროში.

კორესპონდენციის ავტორი პასუხის გებაში იქნება მიცემული. ვთხოვ ყველა გაზეთებს, რომელთაც აღნიშნული ცნობა ჰქონდათ გადაბეჭდილი, ეს განცხადებაც გადაბეჭდონ.

კავკასიის საკავალერიო დივიზიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი გუსლავსკი

წერილები

ბაქო. არც ბაქოში მყოფი ქართველები შესცქერიან გულგრილად ჩვენის ხალხის დღევანდელ მოძრაობას და ყოველივე, რაც-კი ეხლა ჰხდება ჩვენში, იწვევს მათ სიმპატიას ანუ ანტიპატიას. ხშირად იკრიბებიან, მსჯელობენ, კამათობენ და უნდათ გამოირკვიონ და გაითვალისწინონ ის პოლიტიკური და სოციალური იდეალი, რომლის განხორციელებასაც უნდა ელტვოდეს ქართველი ერი დღევანდელ თავისს მდგომარეობაში.

კრებებზე უკვე გამოირკვა, სხვათა შორის, რომ უმეტესობა აქაურ ქართველ ინტელიგენტებისა თანაუგრძნობენ იმ რეზოლიუციებს, რომლებიც შეიმუშავეს თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა თავიანთ კრებებზე, და გამოაქვეყნეს. ამასთანავე დიდი გულის წყრომა და განკიცხვა გამოიწვია იმ ზოგიერთ თავად-აზნაურთა საქციელმა, რომელნიც ურჩევდნენ და უქადაგებდნენ თავიანთ მოძმეთ, როგორც, მაგ., სამეგრელოს თავად-აზნაურთა კრებებზე, რეპრესიულ საშუალებათა ხმარებას ჩვენებურ გლეხების ეხლანდელ მოძრაობის ჩასაქრობად. ამას გარდა კრებებზე დაჰგმეს აგრეთვე ისეთი მოქმედება, როგორც უბრალო ადამიანის სისხლის ღვრა, კერძო საკუთრების წვა და ბუგვა, ცარცვა-გლეჯა, პირად ხასიათის შურის ძიება და სხვა. კრებები, რასაკვირველია, კიდევ დიდ ხანს გასტანს, რადგან ჯერჯერობით არ განუხილავთ და არ გამოურკვევიათ ყოველ ნაირი საკითხი და სარჩიელი ეხლანდელ პოლიტიკურ-სოციალურ მოძრაობისა.

გ. წყალტუბელი

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 აპრილი

გუნჩულინი. სარდალი პოზიციებზე დადის და ახალ მოსულ ჯარებს ათვალიერებს. ჩვენს მარცხენა ფრთაზე ხუნხუზების ბრბო გამოჩნდა.

პარიჟი. იუწყებიან, იაპონელები დაჭერას უქადიან ფრანგების ყველა გემებს, რომელნიც გაჩერდებიან შორეულ აღმოსავლეთსა და საფრანგეთს შორის მდებარე ნავთ-სადგურებში; ეს იქამდე იქნება, სანამ სრულ კმაყოფილებას არ მიიღებენ ნეიტრალიტეტის დარღვევამდეო.

ლონდონი. „მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტები ამბობენ, ვლადივოსტოკის ესკადრის გამოსვლა იმის მომასწავებელია, რომ არავითარი ზომები არაა ჯერ მიღებული ვლადივოსტოკის ალყის წინააღმდეგ. ალყის შემორტყმის წინ უსათუოდ შეწყდება მიმოსვლა დასავლეთის მხრიდან; ამის ნიშანი კი არა სჩანს.

პორტ-საიდი. მოვიდა ინგლისის სამი ნაღმოსანი. დანარჩენ სამს დღეს მოელიან; მოელიან აგრეთვე სამხედრო გემებს „კონოპუს“-ს და „გოლიათ“-ს, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში მიდიან.

კოპენჰაგენი. რუსეთის მთავრობა ჩინეთს პროტესტს გაუგზავნის იმის შესახებ, რომ იაპონელები ხუნხუზებით სარგებლობენ ახლანდელ ომის დროს.

ტოკიო. იაპონიის განმეორებით პროტესტზე უპასუხა საფრანგეთის მთავრობამ, რომ როჟესტვენსკის წინადადება მიეცა წავიდეს ხონკოეს ბუხტიდანო. ჰფიქრობენ, როჟესტვენსკი ახალ ბაზას მონგსაის ბუხტაში გაიჩენს, კუნძულ ხაინანის სამხრეთითო.

ტოკიო. საფრანგეთის საწინააღმდეგო პროტესტმა კიდევ გამოაცოცხლა საზოგადოებრივი აზრი. იაპონიის პრესა ენერგიულ მოქმედებას ითხოვს და წინადადებას იძლევა, ზარბაზნები დაუშინეთ საფრანგეთის პორტებსო.—რუსის ჯარები, როგორც ეტყობა, იმისთვის გამოიყვანეს ჩრდილოეთ კორეიაში, რომ განზრახვა აქვთ, ხელი შეუშალონ იაპონელებს, რომელნიც სცდილობენ მოსპონ მიმოსვლა ხარბინსა და ვლადივოსტოკს შორის. ტუმენის სათავესთან ხიდეებია გამართული, მარცხენა ნაპირზე-კი—დასაცველი შენობები.

პორტსმუტი, 24 აპრილი. ლამანშის ესკადრამ ბრძანება მიიღო, მოემზადოს ესპანიის მეფის შესახვედრათ. მეფე 9 მაისს მივა ინგლისში.

პარიჟი, 25 აპრილი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა გარეშე საქმეთა მინისტრისაგან, შეატყობინეთ დაწვრილებით თქვენი პლანებიო. დელკასემ სთხოვა, ცოტა დამაცადეთ, ვინაიდან მოლაპარაკების გამოქვეყნება არაა სასურველი; იგი საიდუმლოთ უნდა შეინახოსო. ამრიგათ რამდენიმე დღის შემდეგ გადაწყდება საკითხი, წავა, თუ დარჩება დელკასე მინისტრათ.

პეტერბურგი. ოფიციალური მოხსენება არ მოსულა შორეულ აღმოსავლეთიდან 24 აპრილს. დედოფალმა შემდეგის სიტყვებით უპასუხა მიტროპოლიტ ანტონის მილოცვაზე: „გულითად მადლობას გიცხადებ უწმინდეს სინოდს და თქვენ, მეუფეო, მილოცვისა და ლოცვით კეთილის სურვებისათვის. გადაეცით ჩემი გულითადი სალამი მაღალყოვლად უსამღვდელოეს მიტროპოლიტ ფლაბიანეს, არქიეპისკოპოზს ნიკოლოზს და ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზ კლიმენტს. „ალექსანდრა“.-24 აპრილს კ. პ. პობედონოსცევმა დაამთავრა უწ. სინოდის ობერპროკურორად ყოფნის 25 წლის იუბილეი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

24 აპრილი.

ტოკიო, 24 აპრილი. (რეიტ.) ჰფიქრობენ, როჟესტვენსკი სამშაბათს შეხვდება ნებოგატოვსო. ნებოგატოვი, ალბათ, ნახშირს დაიმზადებს და ამ მიზნით როჟესტვენსკი რომელიმე პორტით ისარგებლებს. ისა, რომ როჟესტვენსკი არ უახლოვდება იაპონიის ეჭვს იწვევს; მას აღარ უნდა ჰქონდეს განზრახვა დაუყოვნებლივ შეებრძოლოს იაპონიას. არაფერი არ ისმის ვლადივოსტოკის ნაღმოსნებზე. ისინი, ალბათ, ვლადივოსტოკში დაბრუნდებიან.

ლაბუანი, 24 აპრილი. (რეიტ.). 22 აპრილს, ღამით, ორთქლ-მავალმა გემმა „ჩინიმაი“-მ, 70 მილზე ლაბუანის სრუტის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაინახა უცნობი ფლოტი, რომელიც ორ დივიზიათ იყო გაყოფილი; ფლოტი განათებული იყო და, ეტყობოდა, ნახშირს უღებდა.

ტოკიო, 24 აპრილი, („დეილი-ტელეგრაფ“-ი). იაპონიის პროტესტის გამო, საფრანგეთმა მოსთხოვა როჟესტვენსკის, მიატოვეთ ხონკოეს ბუხტაო. ჰფიქრობენ, ახალ ბაზათ ის ლეონსიის აირჩევს, ხაინანის სამხრეთითო. „ასახი“ დარწმუნებულია, რომ საფრანგეთი ჩუმად შველის რუსეთს. „ჯი-ჯი-შიმპო“ ამბობს, საფრანგეთი პირდაპირ უნდა ჩარეულიყო კონფლიქტში და თავის თავი რუსეთის მოკავშირეთ უნდა გამოეცხადებინაო.

ვოლოგდა, 24 აპრილი. ნოქრები კვლავ გაიფიცნენ. ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა მაღაზიების დახურვის შესახებ. ინციდენტი არ მომხდარა.

როსტოვი-დონზე, 24 აპრილი. არ გამართლდა ის შიში, რომ ვალიანოს ოპერაციების გაუქმება ცუდ გავლენას იქონიებს აქაურ პურის ბაზარზედ; სრულებით არა გრძნობენ ფირმის მოსპობას.

კიევი, 24 აპრილი. ნოქართა და ადების მიერ დადგენილ უქმეებში დასვენების პირველ დღეს წესიერება არ დარღვეულა, თუმცა რამდენიმე მაღაზიები-კი გაიღეს, რასაც წინააღუდგა სხვა მაღაზიების ნოქართა ჯგუფი და ითხოვდა მაღაზიების დაკეტას.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

სახალხო ბიბლიოთეკები

„წ.-კ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში. აქვე არის ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, ახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ნოქართა ურთ ერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა აუწყებს წევრებს, რომ საზოგადოების ექიმებად ითვლებიან:

1. **არწრუნი** ვ. მ.—ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის ექიმი. განოვის ქუჩა.
2. **ბეორგ-ბეკიანი** ტ. პ.—თვალის ავადმყოფობის ექიმი. ბებუთოვის ქუჩა.
3. **ისტამანოვა** ხ. ს.—ვენერიული და კანის ავადმყოფობის ექიმი, ბებუთოვის ქუჩა, № 26.
4. **ძამოევი** ლ. ი.—ვენერიული და კანის ავადმყოფობის ექიმი, მიხაილოვის ქუჩა.
5. **კარაპეტიანი** ა. პ.—შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობის ექიმი. მიხაილოვის ქუჩა, № 94.
6. **უმიკოვი** ი. ბ.—შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობის ექიმი, განოვის ქუჩა, № 29.
7. **კიზებანსკი** გ. ს.—ელისაბედის ქუჩა.
8. **მანსურიანცი,** პ. ა.—ველიამინოვის ქუჩა.

წესები სამკურნალო დახმარების შესახებ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ გამგეობის კანტორაში, განოვის ქუჩა, ფრიდონოვის სახლი. (3—2)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

[illegible] მკვიდრი, [illegible] და [illegible], ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ

ვთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—[illegible]—23)

პირველი საწყობი

შეშისა

პ. ი. კურცხალიასი

ანდრეევის ქუჩა, დამოქნის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟნობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაჭენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟნებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—41) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ცხოვრების სალსარი

ვასწავლი საფუძვლიანად, პირადად და წერილებით ყველა ენებზე, დამზადებას—საპნის, სოდის, ნაცარწმენდილის. სამღვრის და გოდორების წასასმელის, სარკეების, ასანთები ზეთის, ლილას და ბევრ სხვა საგნების. დაწვრილებით პირობებს ვაცნობებ იმას, ვინც ორ 7 კაპეიკიან მარკას გამომიგზავნის. ადრესი: Баку, Одесское химическое производство И. Бромбергу. (4—190—2)

Въ Уѣздномъ Городѣ Тифлисской Губерніи

АПТЕКА

ПРОДАЕТСЯ,
МОЖНО и ВЪ АРЕНДУ,
Адресъ: Тифлисъ, Аптекарю В. К. Прейсбергу. (3—3)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (ფ.—365—210)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—24)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელივის ქუჩა, იკოალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი- შ. გ. შვილისა—პოემა ბაზბაზი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	5
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. ევანგულოვისა	—	1

კბილის პასტა

ვისბადენის წყაროს მასალისაგან

№ 4711

ეს ბუნებრივი საშუალებაა კბილების საწმენდად, რომელიც ექიმებმა საუკეთესოდ სცნეს. ეს საშუალება შეიცავს ყველა იმ თვისებას, რაც საჭიროა კბილებისა და პირის მოსავლელად. იგი ახალი გამოგონებაა თანამედროვე მეცნიერებისა და კბილის საშუალებათა შორის ამისთანა სხვა არ მოიპოვება.

ერთად-ერთი ფაბრიკანტი

ფერდ. მიულგენსი

კელნი და რიგა.

მოიპოვება ყველა აფთიაქსა საპირფარეშო და სააფთიაქო მაღაზიებში. (5—მ.—5)